შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ ბაზისი XXI “
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. . (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 179/18

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„06“ აგვისტო. 2018წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ქუჩა ტაშკენტი, №32, მოქ. მერაბ თევდორაშვილის, მოქ. ნინო ჭუმბურიძისა და შ.პ.ს. „პელიკან ჯორჯია“-ს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.10.12.042.017 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის კორექტირებული პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, აკინძული ალბომის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „lira-sapr“-ის საშუალებით.

დამკვეთი:	შ.პ.ს. „პელიკან ჯორჯია“ ID404925523
საპროექტო ორგანიზაცია:	შ.პ.ს. „დომუსი ჯგუფი“ ID205250422
პრ. მთ. არქიტექტორი:	ზ. ტურაბელიძე
პრ. მთ. კონსტრუქტორი:	ქ. ნუცუბიძე
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ვ. ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირე კონსოლური ნაშვერებით, აივნების სახით. მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 13,10X14,40მ ღერძებს შორის.

საპროექტო ნაგებობა ცხრასართულიანია, სარდაფის სართულით. ბოლო, არასრული ფართის IX სართულზე განთავსებულია კიბის უჯრედის გადახურვა და ლიფტის სამანქანო განყოფილება.

სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 2,90მ; I სართულის სიმაღლე შეადგენს 5,10მ; დანარჩენი სართულების სიმაღლე შეადგენს 3,10მ.

შენობის სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,60მ; (3,90მ და 2,70მ) და 6,50მ. სვეტების ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 5,40მ; 3,60მ; დ 5,40მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-sapr“-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ²; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ².

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, საძირკვლების ფუძეს წარმოადგენს ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარი გრუნტი, რომლის საანგარიშო მახვენებლებია: საანგარიშო წინაღობა R_0=2,30კგძ/სმ²; დეფორმაციის მოდული: E=170კგძ/სმ².

შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

– საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 700მმ;
– საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ და დატკეპნილი ხრეშის ფენა, სისქით 30სმ;

